იურიდიული ფაკულტეტი

პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები

სარჩევი

ევროპისმცოდნეობა..... 2
საერთაშორისო სამართალი 9
სამართალი 15

პროგრამის სახელწოდება	ევროპისმცოდნეობა European Studies
საფეხური	საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, რომელსაც უცხო ენად არჩეული აქვს ინგლისური ენა. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე უცხო ქვეყნოს მოქალაქის ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვამ უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლომდაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.
სწავლების ენა	ქართული ინგლისურენოვანი კომპონენტებით
კვალიფიკაცია	ევროპისმცოდნეობის ბაკალავრი Bachelor of European Studies
სწავლების ხანგრძლივობა	8 სემესტრი
ECTS	240
სწავლების გადასახადი	2250
პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ II კორპუსი, ჭავჭავაძის 3
პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	იურიდიული ფაკულტეტი
	1. ნათია ლაპიაშვილი, შვეიცარიის ბაზელის უნივერსიტეტის სამართლის დოქტორი, თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის ევროკავშირის სამართლის მიმართულების ხელმძღვანელი და მოწვეული პროფესორი, საფრანგეთის გრენობლის უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი, კავკასიის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი, საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

	2. ვასილ კაჭარავა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი; 3. თამაზ ზუბიაშვილი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი; 4. დანიელა ურსე, ბუქარესტის უნივერსიტეტის სოციოლოგიის დოქტორი, თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის მოწვეული პროფესორი;
პროგრამის სტრუქტურა	
კურსის სტატუსი	ECTS-მოცულობა
	ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს ჯამში 240 კრედიტს (ECTS). სავალდებულო სასწავლო კურსები: 165 კრედიტი (ECTS), მათ შორის, საბაკალავრო ნაშრომი - 15 კრედიტი (ECTS); არჩევითი სასწავლო კურსები: 40 კრედიტი (ECTS); თავისუფალი სასწავლო კურსები: 35 კრედიტი (ECTS). სწავლების სტანდარტული ხანგრძლივობაა 8 სემესტრი, 4 წელი

პროგრამის მიზანი
ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები და ამ მიზნით: 1. უზრუნველყოს სტუდენდები ფართო ინტერდისციპლინური თეორიული ცოდნით როგორც ევროპისა და ევროკავშირის, მისი ინტეგრაციის, ევროკავშირის სამართლის, ეკონომიკის, პოლიტიკის, ისტორიის, კულტურის, ასევე, ევროკავშირის აღმოსავლეთის პარტნიორობის ინიციატივის ფარგლებში არსებული და მოსალოდნელი კავშირების შესახებ (სამართალი, ეკონომიკა, პოლიტიკა, ისტორია და კულტურა); 2. აღჭურვოს სტუდენტები ევროკავშირის ინსტიტუტების სტრუქტურისა და მოქმედების, ევროპულ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების თავისებურებების შესახებ ფართო პრაქტიკული ცოდნითა და გაგებით, ასევე, იმ საბაზისო ცოდნით, რომელიც ევროკავშირის სამართლის, პოლიტიკისა და ეკონომიკის, ასევე, ევროინტეგრაციის თეორიების, ევროკავშირის ძირითადი პრინციპების და თანამედროვე გამოწვევების კრიტიკულ გააზრებაში დაეხმარებათ; 3. გამოუმუშავოს სტუდენტებს შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომლებიც დაეხმარებათ ევროკავშირში მიმდინარე აქტუალური პროცესების (ევროზონის კრიზისის, უსაფრთხოების გამოწვევების, დეზინფორმაციის პერიოდში სტრატეგიული კომუნიკაციის მნიშვნელობის, ევროკავშირის გაფართოების შესახებ დისკურსის და სხვა), საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების მნიშვნელოვანი ასპექტების, ნორმატიული, პოლიტიკური და სხვა დოკუმენტების მოძიებაში, შესწავლაში, დაკვირვებაში, ინტერდისციპლინური პერსპექტივიდან გაანალიზებაში, ახსნა-განმარტებაში, დასაბუთებასა და ინტერპრეტაციაში; 4. ხელი შეუწყოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ევროკავშირის შესახებ და ევროპული ღირებულებების დამკვიდრებას; ასევე, ევროპისმცოდნეობის დარგის პოპულარიზაციას არა მარტო საქართველოში, არამედ რეგიონში.
სწავლის მეთოდები
ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა ეფუძნება სწავლების მრავალფეროვან მეთოდს: დისკუსია, გუნდური მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევის ანალიზი, გონებრივი იერიში, ევროკავშირის სიმულაცია და იმიტირებული სასამართლო პროცესი, პრეზენტაციები, ვებინარები, შერეული სწავლება ან დისტანციური ლექციები, როგორც ელექტრონული სწავლების ცალკეული ელემენტი. სასწავლო კურსები არის ინტერაქტიული და ორიენტირებული თეორიისა და პრაქტიკის გააზრებაზე. სწავლის განმავლობაში მაგისტრატურის სტუდენტებს ხშირად უწევთ შემთხვევის ანალიზისა და დახურული ტიპის კითხვებისგან შედგენილი ტესტების ჩაბარება, რათა უკეთ გაერკვიონ განსახილველ საკითხში და შეძლონ ევროპული სტანდარტების პრაქტიკისათვის მისადაგება. ლექცია-სემინარები წარმოადგენს პროგრამის სწავლების უმთავრეს მეთოდს. სემესტრის განმავლობაში სტუდენტებს მოეთხოვებათ თეორიული მასალის მომზადება, სხვადასხვა დავალების შესრულება ტესტების, სავარჯიშოებისა თუ სხვა სახით. ლექციებზე მათ აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ დებატებსა და დისკუსიებში. ერთი კურსის განმავლობაში აკადემიური პერსონალი იყენებს სწავლების რამდენიმე მეთოდს ერთდროულად. განსაკუთრებით აღსანიშნავია პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი, რაც სულ უფრო აქტუალური ხდება. ევროპული კვლევების ინსტიტუტში სასწავლო პროცესის შემადგენელი ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია ევროკავშირის სიმულაცია, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს ევროკავშირის შესახებ ცოდნის სტუდენტებამდე მიტანის ინოვაციურ გზას, რადგან, სწორედ, მისი მეშვეობით ხდება თავად ევროპული ინტეგრაციის კონცეფციისა და ევროკავშირში არსებული კულტურული მრავალფეროვნების ფენომენის სწორი გაგება. ამასთანავე, სტუდენტებს უყალიბდებათ ისეთი მნიშვნელოვანი უნარები, როგორიცაა ორატორული ხელოვნება, წერის დახვეწილი სტილი, მოლაპარაკებების წარმოებისა და პრობლემათა მოგვარების უნარ-ჩვევები. სხვადასხვა იმიტირებული სასამართლო პროცესის ორგანიზებით სტუდენტები უკეთ ეცნობიან იმ გარემოს, რაც არსებობს საერთაშორისო ორგანიზაციებსა თუ სასამართლოებში. სემესტრის განმავლობაში სტუდენტებს უტარდებათ ერთი შუალედური წერა, რაც ფასდება პროფესორის მიერ შესაბამისი ქულით. ამასთან, როგორც წესი, სტუდენტებმა უნდა მოამზადონ პრეზენტაცია. ამისთვის თითოეულ სტუდენტს

ეძლევა გარკვეული თემა, რომელსაც მოამზადებს და წარადგენს აუდიტორიის წინაშე. პრეზენტაციის მსვლელობისას სტუდენტები ერთვებიან დისკუსიაში, სვამენ მათთვის საინტერესო კითხვებს და იღებენ პასუხებს პრეზენტატორი სტუდენტისგან; ცალსახა პასუხის არ
არსებობის შემთხვევაში სტუდენტები მსჯელობის გზით მიდიან გარკვეულ დასკვნებამდე. პრეზენტაციის გაკეთებამდე სტუდენტები წერილობითი ფორმით ამზადებენ იმ საკითხის მოკლე მიმოხილვას, რაზეც უნდა წარიმართოს დისკუსია. მიმოხილვა მოიცავს დისკუსიის წარმართვის მთავარ საკითხს, მათ აღმოჩენებსა და დასკვნებს, რაც გააკეთეს საკითხის დამუშავების პროცესში, ისევე როგორც სხვადასხვა სტატისტიკურ მონაცემებს. ყველა სტუდენტისათვის სავალდებულოა მონაწილეობა მიიღოს დისკუსიაში ევროკავშირისა და მისი ინსტიტუტების გარშემო. სტუდენტები აანალიზებენ ევროკავშირში არსებულ მდგომარეობას, იმ პრობლემებს, რაც არსებობს მისი ინსტიტუტების წინაშე, ისევე როგორც იხილავენ ევროკავშირის როგორც ზესახელმწიფოებრივი სუბიექტის პოლიტიკისა და რეგულაციების შემუშავების პროცესსა და მისი იმპლემენტაციის საკითხებს, როგორც საერთაშორისო, ასევე, ეროვნულ დონეზე. ყველა მეცადინეობას აქვს ინდივიდუალურად შერჩეული სწავლის მეთოდი, რომელიც კონკრეტულად დასახული შედეგის მიღწევაში ეხმარება კურსის ხელმძღვანელს. თუმცა, განზოგადების შემდეგ იკვეთება საერთო მიდგომაც - ე.წ. ლექცია–სემინარების ფორმატი. კერძოდ, საკითხავი მასალის მომზადება სავალდებულოა ლექციაზე მოსვლამდე. ლექცია–სემინარის დაწყებისას პირველი 10–15 წუთი ეთმობა წინასწარ წაკითხული მასალიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტების განხილვას, რის შემდეგაც ლექტორი გადადის უკვე დღის განმავლობაში განსახილველი საკითხის ახსნაზე და მთავარი ასპექტების გამოყოფაზე. ამ პროცესის განუყოფელი ნაწილია
სტუდენტის აქტიური მონაწილეობა დისკუსიაში, რათა მოხდეს მთავარი საკითხების უფრო მეტად დაკონკრეტება და სტუდენტამდე მიტანა. სასწავლო კურსის დაწყებამდე ხდება სტუდენტისათვის სრული ლიტერატურის მიწოდება როგორც პროფესორის მიერ საკუთარი წყაროებიდან, ისე ევროპული კვლევების ინსტიტუტისა და თსუ-ის ბიბლიოთეკიდან. სტუდენტები სწავლის პროცესში აქტიურად იყენებენ თანამედროვე ტექნოლოგიების მიღწევებს და ჯგუფური მუშაობისათვის განკუთვნილ ინტერნეტ საშუალებებს. ამასთან, ევროკავშირის ტემპუსის პროექტის „ევროპისმცოდნეობის ინოვაციური სწავლება და სწავლა“ (INOTLES 543955) ფარგლებში თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტში შეიქმნა ინოვაციური სწავლების ცენტრი, რომელიც მიზნად ისახავს დროთა განმავლობაში ინოვაციური სწავლების მეთოდების (სიმულაციის მეთოდი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ელექტრონული სასწავლო კურსები და შერეული სწავლება) დანერგვას სასწავლო პროცესში. ამ ეტაპზე სიმულაციის მეთოდის აქტიურად გამოყენება ხდება შემდეგი კურსების ფარგლებში:“საერთაშორისო კერძო სამართალი”; საერთაშორისო და ევროკავშირის სამართლის თანაფარდობა” (პროფ. ნათია ლაპიაშვილი); „გაეროს როლი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების აღსრულებაში“; „სამართლის ფილოსოფია. შესავალი“; „ევროინტეგრაციის თეორიები“; „ევროკავშირის საგარეო ურთიერთობათა სამართალი“; „ევროკავშირის ინსტიტუტები, მმართველობა და გადაწყვეტილების მიღების პროცესი“ (ნინო ლაპიაშვილი); „ევროკავშირის ძირითად უფლებათა სამართალი“ (თამარ კვარაცხელია).

ელექტრონული სასწავლო კომპონენტის გამოყენება სტუდენტების ნება-სურვილზეა დამოკიდებული და მათთვის დამატებით სასწავლო წყაროს წარმოადგენს

შეფასების პროცედურები

შეფასებათა სისტემა აერთიანებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა) (A) ფრიადი –შეფასების 91-100 ქულა;
ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;
და ორი სახის უარყოფით შეფასებას:
ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;
ზ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანიახლიდან აქვს შესასწავლი.
დასკვნით და დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღისა. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.
საბაკალავრო ნაშრომის შეფასებისას მოქმედებს შემდეგი კრიტერიუმები:
წარმოდგენილი ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები (ფასდება რეცენზენტის მიერ) - მაქსიმუმ 60 ქულა:
ტექსტის შესაბამისობა სათაურთან – 5;
შესავალი, ნაშრომის სტრუქტურა – 5;
ლიტერატურის მიმოხილვა - 5
კვლევის მეთოდები - 5
კვლევისა და ანალიზის უნარი - 5
დასკვნა – 10;
საკუთარი აზრი – 10;
აზრის ფორმირების სტილი – 10;
ციტირების ტექნიკა – 5;
ნაშრომის წარდგენა (დაცვა) დაიშვება თუ სტუდენტი მიიღებს მინიმუმ 31 ქულას (60 ქულიდან).
საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე შეფასების კრიტერიუმები -მაქსიმუმ 40 ქულა:
მასალის ფლობა – 10;
ანალიზის, არგუმენტირების და დასკვნის უნარი – 10;
აუდიტორიასთან კომუნიკაციის უნარი – 10;
საკუთარი პოზიციის დაცვა, შეკითხვებზე პასუხი – 10.
ნაშრომი დაცულია თუ დასკვნით გამოცდაზე (დაცვაზე) სტუდენტი მიიღებს მინიმუმ 20 ქულას (40 ქულიდან).

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

1) აიდენტიფიცირებს, აღწერს და განსაზღვრავს:
   - ევროკავშირის სამართლის არსს, პრინციპებს, ნიშნებს, ფუნქციებს, ევროკავშირის სამართლის ძირითად თავისებურებებს, ევროკავშირის სამართლის წყაროებს, ასევე, ევროკავშირის სამართლის სხვადასხვა დარგებს, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების არსს და ევროკავშირის სამართლებრივ ნორმებთან დაახლოების სამომავლო პერსპექტივებს;

- ევროკავშირის ეკონომიკური ინტეგრაციის თავისებურებებს, ევროკავშირის ეკონომიკური ინტეგრაციის ისტორიულ, ინსტიტუციონალურ და სამართლებრივ ასპექტებს, მათ შორის, ევროკავშირის მონეტარული ინტეგრაციის მოდელს, ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულების თავისებურებებს, ევროპისა და მსოფლიოს ეკონომიკის ისტორიის კანონზომიერებებს, ევროპისა და მისი ცალკეული რეგიონის მოსახლეობის ტერიტორიული მობილობის ძირითად პრობლემებს და საერთაშორისო მიგრაციის მთავარ მიმართულებებს;
- ევროინტეგრაციის თეორიებს და მათი განვითარების დინამიკას, ევროკავშირის ინსტიტუტების მოწყობის წესს, ევროკავშირში მმართველობის, პოლიტიკის ფორმირებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის თავისებურებებს, ევროკავშირის პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, ევროსკეპტიციზმის პოლიტიკას, ევროკავშირი-საქართველოს თანამშრომლობის დინამიკას, ევროპისმცოდნეობის დარგისთვის დამახასიათებელ ტერმინებს და ძირითად კონცეფციებს;
- ევროპისა და ევროკავშირის ინტეგრაციის ისტორიის ძირითად ფაქტებს და მოვლენებს, მე-19 და მე-20 საუკუნეების ევროპული ლიტერატურის ძირითად ტენდენციებს.

უნარები

2) აანალიზებს ევროპისმცოდნეობის სფეროში არსებულ რთულ და გაუთვალისწინებელ პრობლემებს, ინტერდისციპლინური მეთოდების გამოყენებით შეიმუშავებს მათი გადაწყვეტის გზებს და ევროპისმცოდნეობის სფეროსთვის დამახასიათებელი ტერმინოლოგიის გამოყენებით ასაბუთებს საკუთარ პოზიციებს/დასკვნებს ზეპირი და წერილობითი ფორმით;

3) არჩევს, აანალიზებს და იყენებს შესაბამის წყაროებს, ევროკავშირის სამართლის ნორმებს და ინტერდისციპლინური კვლევისთვის საჭირო მეთოდებს პრობლემის გამორკვევის, მისი შეფასების, პოზიციის დასაბუთებისა და გამოწვევის გადაწყვეტის მიზნით;

4) მონაწილეობს ევროპისმცოდნეობის სფეროში პოლიტიკის დოკუმენტების, ევროკავშირის სამართლის აქტების, ევროკავშირის ეკონომიკური ინტეგრაციის ცალკეული ასპექტების/პოლიტიკების მოდელირების, ასევე, ევროკავშირის სამართლის სფეროში სამართლებრივი დავის გადაწყვეტის სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავებაში, დავის გადაწყვეტის კანონიერი საშუალებებისა და ეთიკის ნორმების გათვალისწინებით;

5) მონაწილეობს ევროკავშირის სამართლის, ეკონომიკის, პოლიტიკის, ისტორიის ან კულტურის სფეროში კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტების, მცირე მოცულობის კვლევითი ნაშრომების შემუშავებაში. წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად ამზადებს საბაკალავრო ნაშრომს, ანალიტიკური ნაშრომების შესრულების პრინციპებისა და სტანდარტების დაცვით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

6) ევროკავშირში მიმდინარე სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებების შესახებ ცოდნის მუდმივად განახლების პროცესში დამოუკიდებლად აიდენტიფიცირებს ევროინტეგრაციის სფეროში წარმოშობილ ახალ პრობლემებს და მათი გადაჭრის გზებს. ამ პროცესში თანმიმდევრულად აფასებს საკუთარი სწავლის პროცესს შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენის მიზნით

7) ცნობს საკუთარი საქმიანობის ეთიკის ფარგლებს, ხელს უწყობს ინდივიდთა უფლებების დაცვას, მონაწილეობს ევროპული ღირებულებების გავრცელების პროცესში დარგის სპეციალისტისთვის დამახასიათებელი ეთიკური სტანდარტებითა და სამართლიანობის, სამართლის უზენაესობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების, მათ შორის, ევროკავშირის ევროპული საბჭოს კოპენჰაგენის კრიტერიუმების სტანდარტების გათვალისწინებით და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად.

დასაქმების სფეროები

ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფს ღირებული კომპეტენციების შეძენას სწავლებისთვის, დამოუკიდებელი კვლევის წარმართვისთვის და იძლევა კარიერის შექმნის პერსპექტივებს შემდეგ სფეროებში:

- საჯარო სამსახური
- არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ევროპული ინსტიტუტები
- პოლიტიკური ორგანიზაციები
- კერძო სექტორი
- საკონსულტაციო ორგანიზაციები
- მედია და საინფორმაციო ცენტრები

ევროპისმცოდნეობის ბაკალავრს შესაძლებლობა აქვს სწავლა გააგრძელოს სამაგისტრო პროგრამაზე როგორც საქართველოში, ასევე, საზღვარგარეთ.

პროგრამის სახელწოდება	საერთაშორისო სამართალი International Law
საფეხური	საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, რომელსაც აკადემიურ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად ჩაბარული აქვს ინგლისური ენა. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაცია	საერთაშორისო სამართლის ბაკალავრი/BachelorofInternationalLaw
სწავლების ხანგრძლივობა	8 სემესტრი
ECTS	240
სწავლების გადასახადი	2250
პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ II კორპუსი, ჭავჭავაძის 3
პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	იურიდიული ფაკულტეტი
საკონტაქტო პირი	პროფესორი, სამართლის დოქტორი - ირინე ქურდაძე

პროგრამის სტრუქტურა	
კურსის სტატუსი	ECTS-მოცულობა
	სავალდებულო საუნივერსიტეტო: სპეციალობის საბაზისო სავალდებულო 15 ECTS საჯარო სამართლის მოდულის სავალდებულო 25 ECTS კერძო სამართლის მოდულის სავალდებულო 40 ECTS სისხლის სამართლის მოდულის სავალდებულო 20 ECTS საერთაშორისო სამართლის მოდულის სავალდებულო 85 ECTS საერთაშორისო სამართლის მოდულის არჩევითი 25 ECTS ინგლისური ენის კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები 30 ECTS სულ 240
პროგრამის მიზანი	

საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს:

● შესძინოს ფართო თეორიული ცოდნა სამართლის არსის, სისტემის, ძირითადი პრინციპების, სამართლებრივი სისტემების, ქართული სამართლის ისტორიული წყაროების, კერძო, სისხლის და საჯარო სამართლის სფეროების ძირითადი თეორიების, პრინციპებისა და რეგულირების თავისებურებების, ასევე სიღრმისეული ცოდნა საერთაშორისო საჯარო სამართლის არსისა და მნიშვნელობის, საერთაშორისო სამართლის განვითარების კანონზომიერებების, საერთაშორისო საჯარო სამართლის სისტემის, წყაროების, ძირითადი პრინციპების, სუბიექტების, ინსტიტუტების, საერთაშორისო და ეროვნული სამართლის თანაფარდობის, საერთაშორსიო უნივერსალური და რეგიონალური ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსის, საერთაშორისო ხელშეკრულებათა მხარეებისა და მათი დადების წესის, სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის საერთაშორისო მექანიზმების, საერთაშორისო სამართლის ცალკეული დარგების, საერთაშორისო ინსტიტუტების პრაქტიკის, საერთაშორისოსამართლებრივი პასუხისმგებლობის სახეებისა და ფორმების, საერთაშორისოსამართლებრივი პასუხისმგებლობების მექანიზმების, ასევე საერთაშორისო დავების სახეების შესახებ;

● გამოუმუშავოს სამართლისა და საერთაშორისო სამართლის სფეროში არსებული რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების ანალიზის, მათი გადაწყვეტის შესაბამისი მიდგომების განვითარების, ასევე საკუთარი სამართლებრივი დასკვნების თაობაზე იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციის უნარი;

● გამოუმუშავოს ეროვნული და საერთაშორისოსამართლებრივი ნორმების, წყაროების, მეთოდების ანალიზის, საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, მათი შეფასების, სამართლებრივ დავაში პოზიციების დასაბუთების, კონკრეტული იურიდიული მოქმედებების განხორციელების, სამართლებრივ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებისა და დასაბუთების უნარი;

● გამოუმუშავოს დავის გადაწყვეტის სტრატეგიისა და ტაქტიკის, იურიდიული ხასიათის დოკუმენტების, ასევე წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად სამართლისა და საერთაშორისო სამართლის სფეროში კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტების შემუშავების უნარი;

● გამოუმუშავოს ქართულ ან/და ინგლისურ ენაზე საჭირო ინფორმაციის, მათ შორის საკანონმდებლო ცვლილებების, ეროვნული და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერების სიახლეების მოძიების, გამორჩევის და საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების

უნარი;
● გამოუმუშავოს იურისტის ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმების ფარგლებში მოქმედების, ასევე შესაბამისი სამართალწარმოების პროცესში სამართლებრივი ღირებულებების გათვალისწინებით მოქმედების უნარები.

სწავლის მეთოდები

- ლექცია
- სემინარი
- ელექტრონული რესურსით სწავლება
- ელექტრონული სწავლება
- სამუშაო ჯგუფში მუშაობა
- პრაქტიკული მუშაობა

საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ გზებს (მეთოდებს), რაც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე.

საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები მოიცავს თემატიკის შესაბამისი სპეციფიკის სწავლა-სწავლების მეთოდებს. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში ასახული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს და თითოეული სასწავლო კურსის მიზნებსა და შინაარსს. სწავლება-სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

სწავლების მეთოდების შერჩევისას გაითვალისწინება სასწავლო კურსის მიზანი და სავარაუდო შედეგი - რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება უნდა შეძლოს სტუდენტმა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განსახორციელებლად გამოიყენება სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები, როგორიცაა ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, პრაქტიკული მუშაობა და სხვა. სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას და ავითარებს სტუდენტის ტრანსფერულ უნარებს.

ამასთან, წავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს: დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, დემონსტრირება, ახსნა-განმარტება, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერება, დედუქცია, ინდუქცია, ანალიზი, გონებრივი იერიში, შემთხვევების ანალიზი (Casestudy), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) და სხვა. სწავლება-სწავლის პროცესში გამოყენებული აქტივობები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე აქტივობას ან ნებისმიერ სხვა აქტივობას კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.

შეფასების პროცედურები

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
ორი სახის უარყოფით შეფასებას:
(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები,რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:
(A) აღწერს:
● სამართლის არსს, ნიშნებს, ფუნქციებს, ფუნდამენტურ პრინციპებს, სამართლებრივ სისტემებს, სამართლებრივი მოწესრიგების მეთოდებსა და სტადიებს, განმარტების მეთოდებს, სამართლის ნორმის სახეებს, ქართული სამართლის სისტემის ძირითად თავისებურებებს, პრინციპებსა და ინსტიტუტებს, სამართლებრივი ურთიერთობის ელემენტებსა და სამართლის ნორმის შეფარდების სტადიებს, ქართული სამართლის ისტორიულ წყაროებს, ძველი ქართული სამართლის დარგებსა და ინსტიტუტებს, ძველი ქართული სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებსა და სამართალგანვითარების ტენდენციებს.
● სახელმწიფო მოწყობის ძირითად პრინციპებსა და ეროვნული მოდელის თავისებურებებს, ადამიანის უფლებათა კონცეპტუალურ და ღირებულებით საკითხებს, შეზღუდვის პრინციპებსა და დაცვის ეროვნული მექანიზმის თავისებურებებს, ადმინისტრაციული სამართლის ძირითად პრინციპებს, საჯარო მმართველობის კონსტიტუციურ საფუძვლებს, საჯარო მმართველობის პრინციპებს, საჯარო მმართველობის ორგანიზაციული მოწყობის ფორმებს, ადმინისტრაციული წარმოების სახეებსა და ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის ფორმებს, საკონსტიტუციო და ადმინისტრაციული დავების წარმოშობის მიზეზებს, ძირითად მახასიათებლებს, მათი სამართლებრივი საშუალებებით გადაწყვეტის გზებს, საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრინციპებს, სტადიებს, საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვის თავისებურებებს, ადმინისტრაციული სამართალწარმოების ძირითად პრინციპებს, სტადიებს და სასამართლოში ადმინისტრაციული საქმის განხილვის თავისებურებებს;
● კერძო სამართლის სისტემას, სამოქალაქო სამართლის მიზნებს, ამოცანებს, წყაროებს, სამოქალაქო სამართლის უზოგადეს ცნებებსა და პრინციპებს, სანივთო სამართლის სისტემას და პრინციპებს, სახელშეკრულებო და კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებს, საოჯახო და მემკვიდრეობით სამართლებრივ ურთიერთობებს, შრომის სამართლის ძირითად პრინციპებს, შრომის უფლების დაცვის ეროვნულ მექანიზმებს, საკორპორაციო სამართლის პრინციპებსა და სამეწარმეო თავისუფლების დაცვის ეროვნულ მექანიზმებს, სამოქალაქო სამართლებრივი დავის წარმოშობის მიზეზებს,

ძირითად მახასიათებლებს, მათი სამართლებრივი საშუალებებით გადაწყვეტის გზებს, სამოქალაქო სამართალწარმოების ძირითად პრინციპებს, სტადიებსა და სასამართლოში სამოქალაქო საქმის განხილვის თავისებურებებს;

● სისხლის სამართლის მიზნებს, ამოცანებს. ძირითად პრინციპებს, დანაშაულის არსსა და სახეებს, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებებს, სასჯელის სისტემას, სისხლის სამართალწარმოების ძირითად პრინციპებს, სტადიებსა და სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის თავისებურებებს;

● საერთაშორისო საჯარო სამართლის არსსა და მნიშვნელობას, საერთაშორისო სამართლის განვითარების კანონზომიერებებს, საერთაშორისო საჯარო სამართლის სისტემას, წყაროებს, ძირითად პრინციპებს, სუბიექტებს, ინსტიტუტებს, საერთაშორისო და ეროვნული სამართლის თანაფარდობას, საერთაშორისო უნივერსალური და რეგიონალური ორგანიზაციების სამართლებრივ სტატუსს, საერთაშორისო ხელშეკრულებათა მხარეებსა და მათი დადების წესს, სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის საერთაშორისო მექანიზმებს, საერთაშორისო სამართლის ცალკეულ დარგებს, საერთაშორისო ინსტიტუტების პრაქტიკას, საერთაშორისოსამართლებრივი პასუხისმგებლობის სახეებსა და ფორმებს, საერთაშორისოსამართლებრივი პასუხისმგებლობების მექანიზმებს, საერთაშორისო დავების სახეებს.

უნარები

საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

(B) აანალიზებს სამართლისა და საერთაშორისო სამართლის სფეროში არსებულ რთულ და გაუთვალისწინებელ პრობლემებს, სამართლის მეთოდების გამოყენებით შეიმუშავებს მათი გადაწყვეტის გზებს და იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ასაბუთებს საკუთარ პოზიციებს/დასკვნებს ზეპირი და წერილობითი ფორმით;

(C) არჩევს, აანალიზებს და იყენებს შესაბამის ეროვნულ და საერთაშორისოსამართლებრივ ნორმებს, წყაროებს, მეთოდებს საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, მათი შეფასების, სამართლებრივ დავაში პოზიციების დასაბუთების, კონკრეტული იურიდიული მოქმედებების განხორციელების ან სხვა იურიდიული ამოცანის გადაწყვეტის მიზნით;

(D) შეიმუშავებს საკონსტიტუციო, სამოქალაქო, ადმინისტრაციული, სისხლის სამართლის და საერთაშორისო სამართლის სფეროში საპროცესო დოკუმენტების, ინდივიდუალური და ნორმატიული ადმინისტრაციული აქტების, კერძოსამართლებრივი, ადმინისტრაციული და საერთაშორისოსამართლებრივი ხელშეკრულებების, სხვა სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტების პროექტებს, ასევე დავის გადაწყვეტის სტრატეგიასა და ტაქტიკას, დავის გადაწყვეტის კანონიერი საშუალებებისა და ეთიკის ნორმების გათვალისწინებით;

(E) შეიმუშავებს საერთაშორისო სამართლის სფეროში კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტებს, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

(F) მოიძიებს და გამოარჩევს ქართულ ან/და ინგლისურ ენებზე საჭირო ინფორმაციას, მათ შორის ეროვნული და საერთაშორისო სამართლის წყაროებს, საკანონმდებლო ცვლილებებს, სასამართლო პრაქტიკას, სამეცნიერო სიახლეებს, რითაც ავლენს საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარს, „მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის“ პრინციპის დაცვით;

(G) ცნობს იურისტის ეთიკური სტანდარტების საჭიროებას, პატივს სცემს ინდივიდთა უფლებებს, მონაწილეობს შესაბამისი სამართალწარმოების პროცესში იურისტის ეთიკური სტანდარტებითა და სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით.

დასაქმების სფეროები
საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ექნება იმუშაოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე სადაც მოითხოვება სამართლის ან საერთაშორისო სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი წინაპირობები. საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული იურიდიული საქმიანობის განსახორციელებლად შეიძლება დასაქმდეს: ● საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში; ● სასამართლო ორგანოებში; ● სამართალდამცავ და სხვა მაკონტროლებელ ორგანოებში; ● საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებსა ან სხვა ორგანიზაციებში; ● საქართველოს საგარეო პოლიტიკის შიდა (პრეზიდენტის ადმინისტრაცია, საგარეო საქმეთა სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, პარლამენტის აპარატი, და სხვ.) და საგარეო (საელჩო, საკონსულო) ორგანოებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში, მათ შორის საერთაშორისო მართლმსაჯულების ორგანოებში, ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნულ და საერთაშორისო ინსტიტუტებში.

პროგრამის სახელწოდება	სამართალი LAW
საფეხური	საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართ-ველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაცია	სამართლის ბაკალავრი Bachelor of Law
სწავლების ხანგრძლივობა	8 სემესტრი
ECTS	240
სწავლების გადასახადი	2250
პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ II კორპუსი, ჭავჭავაძის 3
პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	იურიდიული ფაკულტეტი
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელი: თამარ ზარანდია
	პროგრამის სტრუქტურა
პროგრამის მოცულობა კრედიტებით:	240 ECTS

პროგრამის მიზანი:

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს:

- შესძინოს ფართო თეორიული ცოდნა სამართლის არსის, სისტემის, ძირითადი პრინციპების, სამართლებრივი სისტემების, ქართული სამართლის ისტორიული წყაროების, რომის სამართლის წყაროებისა და ძირითადი ინსტიტუტების შესახებ, ასევე სიღრმისეული ცოდნა კერძო, სისხლის და საჯარო სამართლის სფეროების ძირითადი თეორიების, პრინციპებისა და რეგულირების თავისებურებების შესახებ;
- გამოუმუშავოს კერძო, სისხლის და საჯარო სამართლის სფეროში არსებული რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების ანალიზის, მათი გადაწყვეტის შესაბამისი მიდგომების განვითარების, ასევე საკუთარი სამართლებრივი დასკვნების თაობაზე იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ზეპირი და წერითი ფორმით კომუნიკაციის უნარი;
- გამოუმუშავოს სამართლის ნორმების, წყაროების, მეთოდების ანალიზის, საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, მათი შეფასების, სამართლებრივ დავაში პოზიციების დასაბუთების, კონკრეტული იურიდიული მოქმედებების განხორციელების, სამართლებრივ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებისა და დასაბუთების უნარი;
- გამოუმუშავოს დავის გადაწყვეტის სტრატეგიისა და ტაქტიკის, იურიდიული ხასიათის დოკუმენტების, ასევე წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად კერძო, სისხლის და საჯარო სამართლის სფეროში კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტების შემუშავების უნარი;
- გამოუმუშავოს ქართულ ან/და უცხოურ ენებზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) საჭირო ინფორმაციის, მათ შორის საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერების სიახლეების მოძიების, გამორჩევის და საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარი;
- გამოუმუშავოს იურისტის ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმების ფარგლებში მოქმედების, ასევე შესაბამისი სამართალწარმოების პროცესში სამართლებრივი ღირებულებების გათვალისწინებით მოქმედების უნარები.

სწავლის მეთოდები

ლექცია
სემინარი
ელექტრონული რესურსით სწავლება
ელექტრონული სწავლება
სამუშაო ჯგუფში მუშაობა
პრაქტიკული მუშაობა

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ გზებს (მეთოდებს), რაც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები მოიცავს თემატიკის შესაბამისი სპეციფიკის სწავლა-სწავლების მეთოდებს.

საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში ასახული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს და თითოეული სასწავლო კურსის მიზნებსა და შინაარსს. სწავლება-სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების

ერთობლიობა - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
სწავლების მეთოდების შერჩევისას გაითვალისწინება სასწავლო კურსის მიზანი და სავარაუდო შედეგი - რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება შეძლოს სტუდენტმა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განსახორციელებლად გამოიყენება სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები, როგორიცაა ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, პრაქტიკული მუშაობა და სხვა. სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას და ავითარებს სტუდენტის ტრანსფერულ უნარებს.
ამასთან, წავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს: დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, დემონსტრირება, ახსნა-განმარტება, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერება, დედუქცია, ინდუქცია, ანალიზი, გონებრივი იერიში, შემთხვევების ანალიზი (Case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) და სხვა. სწავლება-სწავლის პროცესში გამოყენებული აქტივობები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე აქტივობას ან ნებისმიერ სხვა აქტივობას კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.

შეფასების პროცედურები

შეფასების სისტემა უშვებს:
ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
ორი სახის უარყოფით შეფასებას:
(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით
დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები,რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს
შესასწავლი.
სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სწავლის შედეგები
ცოდნა და გაცნობიერება სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული: (A) აღწერს: • სამართლის არსს, ნიშნებს, ფუნქციებს, ფუნდამენტურ პრინციპებს, სამართლებრივ სისტემებს, სამართლებრივი მოწესრიგების მეთოდებსა და სტადიებს, განმარტების მეთოდებს, სამართლის ნორმის სახეებს, ქართული სამართლის სისტემის ძირითად თავისებურებებს, პრინციპებსა და ინსტიტუტებს, სამართლებრივი ურთიერთობის ელემენტებსა და სამართლის ნორმის შეფარდების სტადიებს, ქართული სამართლის ისტორიულ წყაროებს, ძველი ქართული სამართლის დარგებსა და ინსტიტუტებს, ძველი ქართული სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებსა და სამართალგანვითარების ტენდენციებს, რომის სამართლის წყაროებს, რომის სამართლის ძირითადი ინსტიტუტებსა და კატეგორიებს; • სახელმწიფო მოწყობის ძირითად პრინციპებსა და ეროვნული მოდელის თავისებურებებს, ადამიანის უფლებათა კონცეპტუალურ და ღირებულებით საკითხებს, შეზღუდვის პრინციპებსა და დაცვის ეროვნული მექანიზმის თავისებურებებს, საერთაშორისო საჯარო სამართლის სისტემას, ძირითად პრინციპებს, ინსტიტუტებს, საერთაშორისოსამართლებრივი პასუხისმგებლობების მექანიზმებს, ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმების სტრუქტურას, ორგანიზაციისა და საქმეთა განხილვის წესს, ადმინისტრაციული სამართლის ძირითად პრინციპებს, საჯარო მმართველობის კონსტიტუციურ საფუძვლებს, საჯარო მმართველობის პრინციპებს, საჯარო მმართველობის ორგანიზაციული მოწყობის ფორმებს, ადმინისტრაციული წარმოების სახეებსა და ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის ფორმებს, საკონსტიტუციო და ადმინისტრაციული დავების წარმოშობის მიზეზებს, ძირითად მახასიათებლებს, მათი სამართლებრივი საშუალებებით გადაწყვეტის გზებს, საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრინციპებს, სტადიებს, საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვის თავისებურებებს, ადმინისტრაციული სამართალწარმოების ძირითად პრინციპებს, სტადიებს და სასამართლოში ადმინისტრაციული საქმის განხილვის თავისებურებებს; • კერძო სამართლის სისტემას, სამოქალაქო სამართლის მიზნებს, ამოცანებს, წყაროებს, სამოქალაქო სამართლის უზოგადეს ცნებებსა და პრინციპებს, სანივთო სამართლის სისტემას და პრინციპებს, სახელშეკრულებო და კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებს, საოჯახო და მემკვიდრეობით სამართლებრივ ურთიერთობებს, შრომის სამართლის ძირითად პრინციპებს, შრომის უფლების დაცვის ეროვნულ მექანიზმებს, საკორპორაციო სამართლის პრინციპებსა და სამეწარმეო თავისუფლების დაცვის ეროვნულ მექანიზმებს, სამოქალაქოსამართლებრივი დავის წარმოშობის მიზეზებს, ძირითად მახასიათებლებს, მათი სამართლებრივი საშუალებებით გადაწყვეტის გზებს, სამოქალაქო სამართალწარმოების ძირითად პრინციპებს, სტადიებსა და სასამართლოში სამოქალაქო საქმის განხილვის თავისებურებებს; • სისხლის სამართლის მიზნებს, ამოცანებს. ძირითად პრინციპებს, დანაშაულის არსსა და სახეებს, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებებს, სასჯელის სისტემას, სისხლის სამართალწარმოების ძირითად პრინციპებს, სტადიებსა და სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის თავისებურებებს. **უნარები** სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული: (B) აანალიზებს კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სამართლის სფეროში არსებულ რთულ და გაუთვალისწინებელ პრობლემებს, სამართლის მეთოდების გამოყენებით შეიმუშავებს მათი გადაწყვეტის გზებს და იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ასაბუთებს საკუთარ პოზიციებს/დასკვნებს ზეპირი და წერილობითი ფორმით;

(C) არჩევს, აანალიზებს და იყენებს შესაბამის მატერიალურ და საპროცესო ნორმებს, წყაროებს, მეთოდებს საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, მათი შეფასების, სამართლებრივ დავაში პოზიციების დასაბუთების, კონკრეტული იურიდიული მოქმედებების განხორციელების ან სხვა იურიდიული ამოცანის
გადაწყვეტის მიზნით;
(D) შეიმუშავებს საკონსტიტუციო, სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის სფეროში საპროცესო დოკუმენტების, ინდივიდუალური და ნორმატიული ადმინისტრაციული აქტების, კერძოსამართლებრივი და ადმინისტრაციული ხელშეკრულებების, სხვა სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტების პროექტებს, ასევე დავის გადაწყვეტის სტრატეგიასა და ტაქტიკას, დავის გადაწყვეტის კანონიერი საშუალებებისა და ეთიკის ნორმების გათვალისწინებით;
(E) შეიმუშავებს კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტებს, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:
(F) მოიძიებს და გამოარჩევს ქართულ ან/და უცხოურ (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენებზე საჭირო ინფორმაციას, მათ შორის ეროვნული და საერთაშორისო სამართლის წყაროებს, საკანონმდებლო ცვლილებებს, სასამართლო პრაქტიკას, სამეცნიერო სიახლეებს, რითაც ავლენს საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარს, „მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის“ პრინციპის დაცვით;
(G) ცნობს იურისტის ეთიკური სტანდარტების საჭიროებას, პატივს სცემს ინდივიდთა უფლებებს, მონაწილეობს შესაბამისი სამართალწარმოების პროცესში იურისტის ეთიკური სტანდარტებითა და სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით.

დასაქმების სფეროები

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ექნება იმუშავოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც მოითხოვება სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი წინაპირობები.
სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული იურიდიული საქმიანობის განსახორციელებლად შეიძლება დასაქმდეს:

- საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში;
- სასამართლო ორგანოებში;
- სამართალდამცავ და სხვა მაკონტროლებელ ორგანოებში;
- საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებსა ან სხვა ორგანიზაციებში.